ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
მერს ბატონ მამუკა წოწერიას
ააიპ დასაქმებისა და გადამზადების
ცენტრის (ს/კ 420000091)
წარმომადგენლის ლია როგავას

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო მამუკა,

მოგეხსენებათ დასაქმებისა და გადამზადების ცენტრმა 2021 წელს წარმატებით განახორციელა ახალგაზრდული სათათბიროს პროექტი. ჩატარდა ბევრი ღონისძიება, ახალგაზრდებმა აიმაღლეს უნარ-ჩვევები, წარმატებით ითანამშრომლეს ბევრ არასამთავრობო თუ კერძო სექტორის წარმომადგენელთან.

ახალგაზრდული სათათბიროს წევრები 2022 წელს გეგმავენ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მეტი ახლაგაზრდის გააქტიურებას, რისთვისაც წარმოგიდგენთ პროექტს დანართის სახით - "ახალგაზრდული სათათბირო 2022"

გვაქვს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერის და თქვენთან თანამშრომლობის იმედი.

დასაქმებისა და გადამზადების
ცენტრის დირექტორი

ლია როგავა ლ. როგავა

ააიპ დასაქმებისა და გადამზადების ცენტრი
EMPLOYMENT AND TRAINING CENTER GEORGIA
N.P.L. 420000091

ახალგაზრდული სათათბირო 2022

პრობლემის აღწერა:

ახალგაზრდული სათათბირო 2021 წლის ივლისის თვეში 12 ახალგაზრდისგან დაკომპლექტდა. 6 თვის მანძილზე სათათბირომ ბევრი წარმატებული ღონისძიება და პროექტი განახორციელა, მათ შორის: შემოდგომის ფესტივალი, ბედნიერების ფესტივალი, შეხვერდები საინტერესო ადამიანებთან, ტრენინგები, სემინარები და სხვა. ახალგაზრდული სათათბირო მონაწილოებას ღებულობს სხვადასხვა შეხვედრებსა და კონფერენციებში, რაც ეხმარებათ გაიუმჯობესონ უნარები, დაამყარონ კომუნიკაცია და განვითარდნენ. ახალგაზრდული სათათბიროს წევრები ჩართულები იყვნენ WORLD VISION საქართველოს მიერ ორგენიზებულ პროექტებსა და ღონისძიებებში, რამაც თავის მხრივ ყელი შეუწყო სათათბიროს გაძლიერებას.

2022 წლის იანვრის თვის მონაცემებით ახალგაზრდული სათათბიროს შემადგენლობა 125 ახალგაზრდას ითვლის. ასევე ახალი წევრების შემოერთების მიზნნით შემუშავებულია სპეციალური სააპლიკაციო ფორმა, რომელიც 130 ახალგაზრდას აქვს შევსებული. წინა წელმა ბევრი დადებითი და უარყოფითი მხარე წარმოაჩინა.

ბოლო წლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებების მოკლველვის მიზნით ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით გამოიკვეთა, რომ ახალგზრდებისთვის ყველაზე მტკივნეული საკითხი არის ისეთი სივრცის არ არსებობა, სადაც ნებისმიერ დროს შესაძლებელი იქნება მისვლა, პროექტებზე მუშაობა, ღონისძიებების დაგაგმვა და განხორციელება. სივრცეში აუცილებლია იყოს უფასო ინტერნეტი და სხვა საჭირო ტექნიკური რესურსი, რაც აუცილებელია ღონისძიებების სრულყოფილად ჩასატარებლად.

ახალგაზრდული სათათბიროს აქტიური მუშაობის პროცესში გამოიკვეთა ძლიერი და სუსტი მხარეები, ყველაზე ნათლად კი მათი დანახვა ჯგუფური რეფლექსიების დროს გახდა შესაძლებელი. ახალგაზრდული სათათბიროს ძლიერი მხარეებია კონსტრუქციული მუშაობის სისტემა, წინასწარ გაწერილი სამუშაო განრიგი, შეკრული და დემოკრატიულ პრინციპებზე დაშენებული გუნდი, შესაძლებლობების თანაბარი გადანაწილება, როგორც ქალაქში მცხოვრები ასევე, სოფლად მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, ენთუზიაზმზე დაფუძნებული ფასეულობების არსებობა.

ახალგაზრდული სათათბიროსთვის მნშივნელოვანია ძლიერ მხარეებთან ერთად სუსტი მხარეების გამოკვეთა და შემდეგ უკვე მათი გამოსწორებისთვის მუშაობა. სუსტ მხარეებში მნიშვნელოვანია აღინიშნოს არამდგრადი ფინანსური გარემო, ახალგაზრდების გადინება მუნიციპალიტეტიდან და თემებიდან, ინფორმაციული ვაკუუმი.

ხუთთვიანმა სამუშაო პერიოდმა გვიჩვენა, თუ რა პრობლემების წინაშე ვდგავართ ახალგაზრდები, პირველ რიგში ახალგაზრდული სივრცის არ არსებობა, რომელიც ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორია ახალგაზრდებს თავისუფლად და დამოუკიდებლად შეკრებისთვის. ინფორმაციული ვაკუუმი, რაც გულისხმობს ინფორმაციის ნაკლებობას, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებში, უმეტეს შემთხვევაში ინფორმაცია არც მიდის ახალგაზრდებამდე და მათ არ იციან, რომ რაიმე აქტივობა იგეგმება და რჩებიან განვითარების მიღმა. ინფორმაციის არ ქონა იწვევს ახალგაზრდებში დემოტივირებას, რადგან ფიქრობენ, რომ თემში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის ან ზოგადად მუნიციპალიტეტში, ახალგაზრდული მიმართულებით არაფერი ტარდება. ასევე, მათთვის დამაბრკოლებელ ბერკეტს წარმოადგენს ტრანსპორტირება, ხშირ შემთხვევაში ის გრაფიკი, რომელიც განსაზღვრულია ავტობუსებისთვის არახელსაყრელია.

პროექტის მიზანი: ახალგაზრდული სათათბიროს 2022 წლის პროექტის მიზანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობა და მათი მოტივაციის ამაღლება სხვადსხვა ღონისძიების, შეხვედრებისა და პროექტების განხორციელების გზით.

ამოცანა #1 - ახალგაზრდული სივრცის ინვენტარით აღჭურვა, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ ისარგებლონ უფასო სივრცით, დააორგანიზონ და ჩაატარონ სხვადსხვა ღონისძიება;

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ახალგაზრდული სათათბიროსთვის გამოიყო სივრცე, სადაც ტარდება სხვადასხვა ტიპის შეხვედრები, თუმცა ეს სივრცე ვერ იტევს 15 ადამიანზე მეტს. ახალგაზრდებისთვის სხვა ალტერნატიული სივრცე ქალაქში არ არსებობს. სასახლეში დაწყებულია 100კვ.მეტრი სარდაფის რეაბილიტაცია. ეს იქნება სივრცე ზუგდიდში, სადაც ნებისმიერ ახალგაზრდას ექნება შესაძლებლობა განახორციელოს მის მიერ დაგეგმილი აქტივობები. სივრცის რეაბილიტაციას უზრუნველყოფს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე, თუმცა სივრცეს ფუნქციონირებისთვის სჭირდება ტექნიკა და სხვადასხვა ინვენტარი.

სათათბირო სივრცის კეთილმოწყობით ხელს შეუწყობს ახალგაზრდების გააქტიურებას. ინვენტარის შეძენის შემდეგ ახალგაზრდები შეძლებენ აქტიურად დაგეგმონ და განახორციელონ ღონისძიებები;

ამოცანა #2 - საინფორმაციო პლატფორმის შექმნა, სადაც ნებისმიერ ახალგაზრდას ექნება შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია ახალგაზრდული პროექტების და აქტივობების შესახებ;

ახალგაზრდულ სათათბიროს გააჩნია დახურული FB ჯგუფი, სადაც გაწევრიანებულია 130-ზე მეტი ახლაგაზრდა. თუმცა ვგეგმავთ ამ ჯგუფის გააქტიურებას, კერძოდ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახლაგაზრდებისთვის ეს გვერდი გახდეს ერთგვარი პლატფორმა,სადაც შეძლებენ მიიღონ ინფორმაცია ახალგაზრდული პროექტების, ინიციატივების, ტრენინგების, შეხვედრების, კონფერენციების და სხვა დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

პროექტის განხორციელებისთვის საჭირო აქტივობები:

1. სათათბიროს პროექტის პრეზენტაცია - სათათბიროს თავმჯდომარე და ბორდის წევრები ჩაატარებენ შეხვედრას, სადაც საზოგადოებას და ყველა დიანტერესებულ პირებს გააცნობენ პროექტის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებს.
2. საგრანტო კონკურსი - სათათბიროს 5 კომიტეტiსთვის გამოცხადდება მცირე საგრანტო კონკურსი, კომიტეტები წარმოადგენენ საკუთარ მცირე პროექტებს წერილობითი სახით;
3. შეხვედრები - სათათბირო ხშირად ატარებდა შეხვედრებს სხვადსხვა სფეროში წარმატებულ ადამიანებთან. შეხვედრები გაგრძელდება ახალგაზრდების ინტერესის სფეროს მიხედვით.
4. ტრენინგები - ჩატარდება ზუგდიდში ახალგაზრდების განვითარების და მათი მეტად ინფორმირებულობის მიზნით. ტრენინგების თემატიკა შერჩეულია ახალგაზრდებში მათი აქტუალურობიდან გამომდინარე:

- ადამიანის უფლებები;
- გენდერული თანასწორობა;
- დიზაინი/ ფოტო-მედია;
- ჯანსაღი ცხოვრების წესი;
- ეკოლოგია/ტურიზმი;

- გარემოს დაცვა

5. Fb გვერდის გააქტიურება - ახალგაზრდებისთვის საჭირო ინფორმაციის (ტრენინგები, შეხვედრები, პროგრამები) მოძიება და განთავსება;
6. საახალწლო კარნავალი - ახალგაზრდული სათათბირო წლის ბოლოს დეკემბრის თვეში გეგმავს ჩაატაროს კოსტუმირებული კარნავალი დადიანების მუზეუმის ტერიტორიაზე. ღონისძიება ინქება ახალგაზრდებისთვის მიმზიდველი, საინტერესო, კულტურულ-შემეცნებითი და ამასთანავე გასართობი;
7. სივრცის კეთილმოწყობა - ზუგდიიდს მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზდრობის სასახლეში ტარდება სარდაფის რეაბილიტაცია. რეაბილიტაციის შემდეგ სათათბიროს წევრები იმუშევენ სივრცის კეთილმოწყობისთვის. ღონისძიებების ჩასატარებლად საჭიროა ხმის გამაძლიერებელი, ავეჯი და სხვა ინვენტარი. პროექტის გარდა ახალგაზრდული სათათბიროს წევრები ცდილობენ ითანამშრომლმონ ბიზნეს სექტორთან, რომლებიც ასევე დაეხმარებიან ქალაქს ახალგაზდრული სივრცის მოწყობაში.
8. პროექტის შემაჯამებელი შეხვედრა - ახალგაზრდული სათათბირო ჩაატარებს წლის შემაჯამებელ ღონისძიებას, სადაც წარადგენს წლის ანგარიშს. შეხვედრაზე წარმოდგენილი იქნება პრეზენტაცია განხორციელებული პროექტების შედეგებით.

რისკები:

- ახალგაზრდების ნაკლები ჩართულობა არასაკმარისი ინფორმაციის და სხვა შემაფერხებელი ფაქტორების გამო;
- პანდემიის პერიოდის გაგრძელების შემთხვევაში ახალგაზრდების ნაკლები აქტიურობა;

მდგრადობა:

პროექტში მონაწილე ახალგაზრდების უმრავლესობა 14-16 წლის ახალგარდები იქნებიან, რომლებიც მინიმუმ 2 წელი დარჩებიან ზუგდიდში და ახალგაზრდული სათათბირო იზრუნებს მათ განვითარებაზე. ონლაინ პლატფორმაზე ახალგაზრდების რაოდენობა მინიმუმ 5-ჯერ გაიზრდება, რაც ნიშნავს, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 700-ზე მეტი ახალგაზრდა ჩაერთვება ქალაქის მასშტაბით დაგეგმილ ღონისძიებებში, რაც ხელს შეუწყობს მათ გააქტიურებას.

პროექტის დასრულების შემდეგ ახალგაზრდების უნარ-ჩვევები იქნება გაუმჯობესებული პროექტების მართვის, დაგეგმვის და განხროციელების შესახებ.

ბიუჯეტის მონახაზი:

#	აქტივობა	რაოდენობა	ღირებულება	ჯამი
1	ტრენინგი	3	1000	3000
2	მცირე გრანტი	5	1000	5000
3	საახალწლო კარნავალი	1	2000	2000
4	ხმის გამაძლიერებელი	2	1500	3000
5	მობილური კონდენციონერი	1	4000	4000
6	გვერდის პიარი (boost-ის შესყიდვა)	20	50	1000

7	საკანცელარიო ნივთები	2	250	500
8	საპრომოუშენო ნივთების ბრენდირება	15	100	1500